საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ირაკლი კორძახია - კოლეგიის წევრი

ხათუნა ფურელიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.02.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №015/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ა.-ის მიმართ /სიითი №/ სპეციალიზაცია სამოქალაქო სამართალი

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ა.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 03 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. გ.-მ და მოითხოვა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება ადვოკატ ა. ა.-ის მიმართ.

1.2 საჩივრის ავტორი არ ესწრებოდა 2021 წლის 03 აგვისტოს დისტანციურ რეჟიმში გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომას. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან მ. ჯ.-ს ხელწერილის საფუძველზე (უზრუნველყოფის გარეშე) ასესხა 2000 აშშ დოლარი, სესხისა და იპოთეკის

ხელშეკრულების საფუძველზე - 15 000 აშშ დოლარი. იმისათვის, რომ მოვალეს შეესრულებინა ფულადი ვალდებულება მის მიმართ და დაკმაყოფილებულიყო მისი მოთხოვნა სჭირდებოდა ადვოკატის იურიდიული დახმარება.

1.3 2014 წლის სექტემბრის თვეში, საჩივრის ავტორი ინტერნეტის, საძიებო სისტემის google-ის მეშვეობით ეძებდა ადვოკატს და შემთხვევით მოიძია ა. ა.-ის თაობაზე ინფორმაცია, სადაც მის შესახებ მითითებული იყო, როგორც სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე კვალიფიციურ ადვოკატზე. აღნიშნულის შემდეგ, საჩივრის ავტორი დაუკავშირდა ა. ა.-ს, შეხვდა და მიაწოდა ინფორმაცია მისი საქმის შესახებ. ადვოკატმა განუმარტა, რომ „ჯერ ყადაღას მოითხოვდა და შემდეგ პროცენტებს დაითვლიდა“. საჩივრის ავტორმა ადვოკატს 2000 აშშ დოლარის მოდავე მხარისგან მოთხოვნის საქმეზე ჰონორარის სახით - 300 ლარი გადაუხადა.

1.4 შეთანხმების შესაბამისად, ა. ა.-მა 2014 წელს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მ. გ.-ის საქმესთან დაკავშირებით, რაც ეხებოდა მოვალისგან 2 000 აშშ დოლარის მოთხოვნას. ადვოკატმა საჩივრის ავტორს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოწინააღმდეგე მხარემ წარმოადგინა შესაგებელი, რომელსაც დაურთო ხელწერილი, რითიც ადასტურდებდა, რომ მ. გ.-ის მიმართ შესრულებული ჰქონდა ფულადი ვალდებულება.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ზემოაღნიშნული ხელწერილი მან მართლაც შეადგინა, სადაც მიუთითა, რომ თითქოს მოვალე - ჯავახიშვილი პირნათლად უხდიდა „15 000 აშშ დოლარის პროცენტებს“, რადგან აღნიშნული ხელწერილის წარდგენა მის მოვალეს ბანკში სჭირდებოდა ცნობის სახით, 2000 აშშ დოლარის პროცენტების გადახდაზე კი არ ჰქონდა მითითებული ხელწერილში. შესაბამისად, მას მოვალე მხარესთან 2000 აშშ დოლარის მიღება არ უღიარებია. მან პროკურატურას მიმართა იმ მიზნით, რომ გამოეკითხათ მოვალე თავის მეუღლესთან ერთად, რომლებმაც საქმის გამოძიებისას აღიარეს, რომ მათი თხოვნით დაწერა მ. გ.-მ ხელწერილი.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში სხდომების მიმდინარეობისას, ადვოკატი ა. ა. პასიური იყო და „ერთი სიტყვაც არ უთქვამს“ საქმესთან დაკავშირებით, მათ შორის არ მიუწოდებია ინფორმაცია სასამართლოსთვის, რომ ხელწერილის შედგენასთან დაკავშირებით პროკურატურაში მ. გ.-ის მიმართვის საფუძველზე მიმდინარეობდა გამოძიება და დაიკითხა მოწმეები და ადვოკატს შეეძლო სასამართლოს წინაშეც ეშუამდგომლა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე, აგრეთვე უნდა მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება.

1.7 მ. გ.-ის განცხადებით, პირველ ინსტანციაში საქმისწარმოების მის სასარგებლოდ დასრულება იყო მისი დამსახურება და ადვოკატს ამისათვის არაფერი გაუკეთებია. მოწინაღმდეგე მხარემ - მ. ჯ.-მა გადაწყვეტილება გაასაჩივრა და დავა გაგრძელდა სააპელაციო სასამართლოში.

1.8 მეორე ინსტანციაში წარსადგენი შესაგებელი საჩივრის ავტორმა ადვოკატ ალექსანდრე ამაშუკელთან ერთად შეადგინა, თუმცა სასამართლო სხდომაზე, მოსამართლემ ადვოკატს განუმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების საკითხზე, აგრეთვე, სისხლის სამართლის საქმეზე უკვე ვეღარ იმსჯელებდნენ, რადგან აღნიშნულის თაობაზე მოთხოვნები პირველი ინსტანციის სასამართლოში უნდა წარედგინათ. ადვოკატი ა. ა.-მ. გ.-ის საქმეზე მეორე ინსტანციაში სასამართლო სხდომაზე გადაწყვეტილების გამოცხადებას არ დასწრებია.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ადვოკატისთვის გადახდილი აქვს მოვალისგან 15 000 აშშ დოლარის მოთხოვნის თაობაზე საქმისწარმოებისთვის ჰონორარი - 500 ლარის ოდენობით - ხელზე, თუმცა აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში საქმე ადვოკატის მიერ სასამართლოში არ წარმოებულა, რადგან საქმის განხილვის პროცესი შეჩერდა, სანამ 2000 აშშ დოლარის მოთხოვნის თაობაზე საქმის განხილვა არ დასრულდებოდა.

1.10 მ. გ.-ის განცხადებით, ადვოკატ ა. ა.-ისთვის გადაცემული აქვს მის საქმეებთან დაკავშირებით დედნების სახით საქმის მასალები, რომლებიც დღემდე არ დაუბრუნებია. მ. გ. ადვოკატთან დაკავშირებას ცდილობდა, თუმცა ის ტელეფონს არ პასუხობდა, მას სახლშიც მიაკითხა, თუმცა არ დახვდა, რის შემდგომაც, ადვოკატთან სახლში მივიდა მ. გ.-ის დედამთილი - ნ. ს..

1.11 ნ. ს.-მ ადვოკატ ა. ა.-ს სთხოვა, რომ გადაეცა მისთვის მ. გ.-ისგან მიღებული ჰონორარი 500 ლარი, რის საპასუხოდაც ადვოკატმა საპატრულო ეკიპაჟი გამოიძახა, ამის შემდგომ, ადგილზე მივიდა მ. გ. და მანაც გამოიძახა საპატრულო ეკიპაჟი. ადვოკატი ა. ა. აცხადებდა, რომ ნ. ს.-მ მას თაღლითი უწოდა.

1.12 საჩივრის ავტორის განცხადებით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ადვოკატს განუმარტეს, რომ თანხის დაბრუნების საკითხში ისინი ვერ ჩაერეოდნენ, მაგრამ ის ვალდებული იყო მ. გ.-ისათვის დაებრუნებინა საქმის მასალები, თუმცა ადვოკატმა განაცხადა, რომ ის დუმილის უფლებას იყენებდა. მ. გ.-ის განმარტებით, ა. ა. მან გაიცნო, როგორც ადვოკატი და არ იცოდა, რომ საქმისწარმოების დაწყებისას მას საადვოკატო საქმიანობის ლიცენზია არ ჰქონდა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა 2021 წლის 03 აგვისტოს დისტანციურ რეჟიმში წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განცხადებით, 2014 წლის სექტემბრის თვეში მასთან სახლში მივიდა მ. გ., რომელმაც განუმარტა, რომ იურიდიული დახმარება სჭირდებოდა მოვალესთან არსებული დავის თაობაზე. ა. ა.-მა მ. გ.-ს განუმარტა ამ დავის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

2.2 2014 წლის სექტემბრის თვეში ადვოკატმა, როგორც მ. გ.-ის წარმომადგენელმა მიმართა პირველი ინსტანციის სასამართლოს განცხადებით - სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, შემდგომ, სარჩელი წარადგინეს, რაც ეხებოდა სესხიდან წარმოშობილ დავას - 2 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულებას. აღნიშნული საქმისწარმოებისთვის ადვოკატმა მიიღო 300 ლარი. მეორე საქმეზე - სარჩელით მიმართეს სასამართლოს მოვალის მიმართ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 15 000 აშშ დოლარის მოთხოვნით. ამ საქმეზე ჰონორარის სახით განისაზღვრა 1500 ლარი და წარმატების ჰონორარი 500 ლარი, საიდაც წინსწრებით საჩივრის ავტორმა გადაიხადა 500 ლარი. მიღებული ჰონორარის ფარგლებში ადვოკატმა შეასრულა იურიდიული მოქმედებები. კერძოდ, 2 000 აშშ დოლართან დაკავშირებით სასამართლოში საქმისწარმოებისას, მოპასუხემ წარმოადგინა ხელწერილი, რომლის მიხედვითაც, მ. გ. აღიარებდა, რომ მოვალემ დაფარა მის წინაშე არსებული ვალი. ადვოკატმა შეადგინა სარჩელი ხელწერილის ბათილობის მოთხოვნით და ამ მიმართულებით დაიწყო დავა სასამართლოში მ. გ.-სა და მოვალეს შორის. ადვოკატმა ა. ა.-მა საჩივრის ავტორის საქმის თაობაზე

ასევე სასამართლოში წარადგინა შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე და შეგებებული სააპელაციო საჩივარი.

2.3 ადვოკატის განმარტებით, საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და ის შედეგი რაც მან მიაღწია - ძალაში დარჩა. ა. ა.-ის განცხადებით, 15 000 აშშ დოლარის თაობაზე დავის წარმოება შეჩერებული იყო ორი წლის მანძილზე და 2017 წლის მარტის თვეში განახლდა პროცესი, მაშინ როდესაც, მან საქმისწარმოება 9 თვეში შეძლო.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მასთან იმყოფება მ. გ.-ის საქმის მასალების ასლები. ადვოკატის განცხადებით, ყველა მასალა, რაც საჩივრის ავტორმა გადასცა, წარუდგინა სასამართლოს და მას შეუძლია დოკუმენტები სასამარლოდან გამოთხოვოს. ადვოკატ ა. ა.-ის განცხადებით, მაკა გოგოლაძის საქმის მასალების ასლები არის მისი კუთვნილება და ინახება ნაწარმოებ საქმეთა არქივში.

2.5 ადვოკატის განცხადებით, მასთან სახლში მივიდა მ. გ.-ის დედამთილი - ნ. ს., რომელმაც მას მოსთხოვა საქმის მასალების და 500 ლარის დაბრუნება, რაზეც ადვოკატმა განუმარტა, რომ ეს იყო გაწეული საადვოკატო მომსახურების ჰონორარი, რაზეც ნ. ს.-მ უთხრა, რომ ის იყო თაღლითი. ამის შემდგომ, ადვოკატმა გამოიძახა საპატრულო პოლიცია, რომელმაც ნ. ს.ს მოუწოდა, რომ დაეტოვებინა ტერიტორია. ადვოკატის სახლში ასევე მივიდა მ. გ., რომელმაც მეორე საპატრულო ეკიპაჟი გამოიძახა. მ. გ.-მ ეკიპაჟის თანდასწრებით აღნიშნა, რომ მას ჰქონდა საქმის მასალები ასლების სახით.

2.6 ადვოკატის განმარტებით, იმ პერიოდში, როდესაც მ. გ.-ის დავა სააპელაციო სასამართლოში გაგრძელდა, ის უკვე გაწევრიანებული იყო ადვოკატთა ასოციაციაში და შეეძლო სამივე ინსტანციაში წარმოედგინა საჩივრის ავტორის ინტერესები. იმ შემთხვევაში, თუ ა. ა. ვერ მოიპოვებდა ადვოკატის სტატუსს - სხვას გადააბარებდა მ. გ.-ის საქმეს სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების გასაგრძელებლად.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

2020 წლის 03 აგვისტოს მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. ა.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის, (შემდგომში „აპეკ“) მუხლების 8.5, 8.6 და 8.15 შესაძლო დარღვევის საფუძვლით.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1. განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

- 2014 წელს მ. გ. და ადვოკატი ა. ა. შეთანხმდნენ იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე შემდეგ ორ სამოქალაქო საქმეზე: მომჩივანის მოდავე მხარისგან სესხის სახით გადაცემული 2000 აშშ დოლარის და აგრეთვე, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე 15 000 აშშ დოლარის მოთხოვნის საკითხებზე.

- ა. ა. ადვოკატთა ასოციაციის ერთიანი რეესტრის მონაცემებით ადვოკატად გაწევრიანებულია 2015 წლის 09 ივნისიდან.
- ადვოკატმა ა. ა.-მა 2000 აშშ დოლარის ფარგლებში არსებულ დავასთან დაკავშირებით იურიდიული მომსახურებისთვის ჰონორარის სახით მიიღო 300 ლარი.
- სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის წარმოების მიზნით ადვოკატს მომჩივანისგან ჰონორარის სახით უნდა მიეღო 2000 ლარი (1500 ლარი ჰონორარი, 500 ლარი წარმატების ჰონორარი), საიდანაც მომჩივანმა ადვოკატს გადასცა 500 ლარი.
- ადვოკატმა ა. ა.-მა მ. გ.-ის მიერ მოდავე მხარისგან 15 000 აშშ დოლარის მოთხოვნის ფარგლებში პირველი ინსტანციის სასამართლოში წარადგინა სარჩელი და აწარმოა საქმე, რაც მ. გ.-ის ინტერესების სასარგებლოდ დასრულდა.
- ადვოკატმა ა. ა.-მა სააპელაციო სასამართლოში მ. გ.-ის საქმეზე წარადგინა შესაგებელი.
- ადვოკატმა ა. ა.-მა, როგორც მ. გ.-ის წარმომადგენელმა შეადგინა სარჩელი და მოითხოვა მოდავე მხარის მიერ სასამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენილი 2000 აშშ დოლარის მიღების თაობაზე მ. გ.-ის ხელწერილის ბათილობა.
- ადვოკატ ა. ა.-ს საჩივრის ავტორისთვის მოთხოვნის მიუხედავად არ დაუბრუნებია საქმის მასალები.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის ახსნა-განმარტება და დაადგინა, რომ ადვოკატ ა. ა.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1. ვინაიდან, დგინდება, რომ ადვოკატს არ დაუბრუნებია საჩივრის ავტორისთვის - მ. გ.-ისთვის საქმის მასალები ორიგინალი სახით, ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის დროს დოკუმენტების კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება:

„ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი... რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში...“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) 8.15 მუხლის პირველი წინადადება)

6.2. “ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებისას და შემდგომ, საქმის წარმოების მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია საქმის მასალები, რომელსაც კლიენტი ანდობს ადვოკატს, რაც თავისთავად, აღნიშნული ურთიერთობის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც კლიენტის მიერ ადვოკატისადმი ნდობას ეფუძნება. კლიენტის მიერ ადვოკატისთვის გადაცემული საქმის მასალები, აგრეთვე, საქმის თაობაზე ადვოკატის მიერ ნაწარმოები დოკუმენტაცია წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას და თავის მხრივ, ადვოკატის პროფესიული

პასუხისმგებლობაა კლიენტს არ შეუზღუდოს საქმის მასალების ხელმისაწვდომობა, მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ აღარ სურს კლიენტს ადვოკატმა განაგრძოს მისი საქმისწარმოება და ითხოვს საქმის მასალების დაბრუნებას. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია დროულად უზრუნველყოს კლიენტისათვის მასზე მინდობილი დოკუმენტაციის გადაცემა, მითუმეტეს, რომელთა ადვოკატის მიერ დროულად დაბრუნებამ შესაძლოა, გავლენა მოახდინოს კლიენტის სამომავლო ინტერესებზე" (დისციპლინური საქმე 015/18, დისციპლინური დევნის აღძვრის გადაწყვეტილება 12.09.2018 პუნქტი:5.2).

6.3. უპირობოდ დაბრუნების ვალდებულება არ ვრცელდება ადვოკატის მიერ კლიენტის საქმის თაობაზე მის მიერ შექმნილ დოკუმენტებზე, თუმცა ამის შესახებაც ეთიკის კომისიამ (გადაწყვეტილება 074/11, 09 იანვარი, 2012 წელი) მიუთითა ის გარემოებები, რა შემთხვევებშიც გამართლებულია თავად ადვოკატის მიერ შექმნილი დოკუმენტების დაკავება: „ადვოკატს თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გირავნობის უფლება შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ ადვოკატის მიერ შექმნილ დოკუმენტებზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლის შესაბამისად, ესეც იმ პირობით, რომ დოკუმენტების დაკავებით კლიენტს არ მიადგება მნიშვნელოვანი ზიანი და გირავნობის უფლების გამოყენებაზე კლიენტისგან მიღებულია წინასწარი წერილობითი თანხმობა ამავე კოდექსის 713-ე მუხლის შესაბამისად, თუ ურთიერთობა რეგულირდება დავალების წესით. ამასთან, აღნიშნული უფლება ვერ გავრცელდება ზოგადად ყველა სახის დოკუმენტზე, რომელიც საქმესთან დაკავშირებით ადვოკატის განკარგულებაში მოექცევა, როგორიცაა სამართლო გადაწყვეტილება ან განჩინება, სხდომის ოქმი და სხვ."

6.4. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის დროს დოკუმენტაციის დაბრუნებაზე ეთიკის კომისიამ მიუთითა (დისცპლინური საქმეზე 048/12, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 13.12.2012), რომ „ადვოკატის მიერ კლიენტის საქმის განხილვაზე უარი უნდა განხორციელდეს იმ პირობებში, რომ კლიენტს ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს სხვა ადვოკატის მომსახურებით და გონივრული ვადა, რომ ახალი ადვოკატი სათანადოდ გაეცნოს საქმის მასალებს და უზრუნველყოს მისი ინტერესების წარმოდგენა. ამასთან, ადვოკატის მიერ ნათლად უნდა იქნეს გამოხატული მზაობა, საქმის ყველა მასალა გადასცეს ახალ ადვოკატს, რაც კლიენტის უფლების რეალიზაციის ხელშემწყობი იქნება".

6.5. მხარეები ადასტურებენ, რომ მ. გ.-ის საქმის მასალები მისი მოთხოვნის მიუხედავად, დღემდე იმყოფება ადვოკატთან. დგინდება, რომ მომჩივანმა არაერთხელ მიმართა ადვოკატ ა. ა.-ს დოკუმენტაციის დაბრუნების მიზნით. საქმეში წარმოდგენილი საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის მიერ შედგენილი „რეაგირების ოქმში", რომელსაც ხელს აწერს როგორც მომჩივანი აგრეთვე, ადვოკატიც, მითითებულია, რომ მ. გ. ელოდება ადვოკატისგან მის დაბრუნებას, აღნიშნულზე ა. ა.-მა განმარტა, რომ „არ შედგა სათანადო კომუნიკაცია სათანადო ფორმით" (იხ."რეაგირების ოქმი" 30.11.2015).

6.6. ადვოკატის პოზიციასთან დაკავშირებით, რომ მასთან მყოფი საქმის მასალები არ არის ორიგინალი სახით, მისი ხარჯითაა გადაღებული და ამ საფუძვლით არ აქვს ვალდებულება კლიენტს დაუბრუნოს ის, კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის

დასრულებისას კლიენტის საქმის მასალები ეკუთვნის კლიენტს და შესაბამისად, ადვოკატმა მოთხოვნის შემთხვევაში ისინი უნდა გადასცეს დაუყოვნებლივ. მხოლოდ ის ფაქტი, რომ საქმის მასალების ასლების გადაღებაზე ადვოკატმა ხარჯი გასწიოს, მას არ ათავისუფლებს ეთიკური ვალდებულებისგან კლიენტს მისი მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს დოკუმენტაცია, რომლის დაგვიანებით გადაცემის ან მასზე უარის თქმის შემთხვევაში, შესაძლოა, გამოუსწორებელი ზიანის მომტანი იყოს კლიენტის ინტერესებისთვის. დოკუმენტებზე წვდომის შესაძლებლობა კლიენტის უფლებაა, რომელიც უპირატესია იმასთან შედარებით, რაც შეიძლება ადვოკატ-კლიენტს შორის ასლების გადაღებისთვის გასაწევ ხარჯზე დავას უკავშირდებოდეს. ეთიკის კოდექსით განსაზღვრულია ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით გაწეული ხარჯის საკითხი,, ანაზღაურების წესი და პროცედურა. „...კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“ (აპეკ-ის 8.15 მუხლის მეორე წინადადება.) ასევე, არსებობს დოკუმენტის ელექტრონული შენახვის შესაძლებლობა, რაც არ არის ასლის გადაღების ხარჯთან დაკავშირებული.

6.7. კომისია მიიჩნევს, რომ არ დგინდება ადვოკატის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულების დარღვევა:

„..კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15, მეორე წინადადება).

6.8. კლიენტი და ადვოკატი ურთიერთობის დასაწყისში თანხმდებიან იმ საფასურზე, რომლის ფარგლებშიც უნდა განახორციელოს ადვოკატმა მომსახურება. აპეკი-ის 8.15 ადვოკატს ავალდებულებს დაიცვას პროპორციულობის პრინციპი გაწეულ საადვოკატო მომსახურებასა და მიღებულ ჰონორარს შორის და დაუბრუნოს კლიენტს ის თანხა, რომელიც მას არ გამოუმუშავებია იმ მიზნისთვის, რისთვისაც კლიენტმა გადასცა.

6.9. საჩივრის ავტორის პოზიციიდან ირკვევა, რომ ადვოკატს მიღებული ჰონორარის ფარგლებში საადვოკატო მომსახურება არ გაუწევია. 2000 აშშ დოლარის ფარგლებში არსებულ დავის თაობაზე საადვოკატო მომსახურების განხორციელებისთვის განისაზღვრა ჰონორარი - 1500 ლარის ოდენობით, საიდანაც ადვოკატმა მიიღო ჰონორარის ნაწილი - 500 ლარი. დგინდება, რომ ადვოკატმა მ. გ.-ის საქმე აწარმოა პირველი ინსტანციის სასამართლოში და აგრეთვე, სააპელაციო სასამართლოში წარადგინა შესაგებელი (იხ.პუნქტი 4.1.6 და 4.1.7). ადვოკატმა მიღებული ჰონორარის ფარგლებში განახორციელა იურიდიული მოქმედებები მ. გ.-ის ინტერესების სასარგებლოდ. შესაბამისად, არ დადგინდა ადვოკატის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულების დარღვევა.

6.10. შედეგად, განხილვის კოლეგიამ უნდა ისჯელოს ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების თაობაზე. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით განსაზღვრულია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები: დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა, რომელიც არ არის

სახდელი, სახდელის სახეები: გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა;

6.11. პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია „ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად... ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც“ (დისციპლინური საქმეზე N098/17 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 31.05.2018).

6.12. კოლეგია განმარტავს, რომ საქმის მასალების კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება ადვოკატის პრევენციული მოქმედებაა, თავიდან აარიდოს კლიენტს ზიანის მიყენება დოკუმენტების არქონის გამო. საჩივრის ავტორმა, მიუხედავად ადვოკატისთვის არაერთხელ მიმართვისა, ვერ შეძლო გაცნობოდა თავის დოკუმენტებს, მათ შორის გადაეღო ასლები, რის გამოც შესაძლოა მის ინტერესებს მიადგა გამოუსწორებელი ზიანი, თუმცა მოცემულ შემთხვევაში არ დგინდება მომჩივანისთვის მიყენებული კონკრეტული ზიანის არსებობა. აგრეთვე, დისციპლინური ღონისძიების განსაზღვრისას კოლეგია ითვალისწინებს ეთიკური ვალდებულების ნაწილში ადვოკატის დამოკიდებულებას. ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს რომ კლიენტს არ უნდა შეუზღუდოს მასთან არსებული კლიენტის საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობა.

6.13. „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“.

6.15. კომისია მიიჩნევს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული ეთიკური ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ არ არსებობს გაუქარწყლებელი დისციპლინური სახდელი ადვოკატ ა. ა.-ის მიმართ.

6.16. კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა უზრუნველყოფს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას, როგორიცაა: მომავალში, კლიენტთან კეთილსინდისიერების პრინციპზე დაფუძნებულ ურთიერთობის განმტკიცებას და მის მიმართ პატივისცემის დაცვა

6.17. „კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს, მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი ხელმისაწვდომია მხოლოდ ადვოკატისთვის“ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 20.10.20 დისციპლინური საქმე 063/19).

6.18. კოლეგიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის და პროპორციულობის პრინციპით, შედეგად, კომისიამ დადგინა, რომ ადვოკატ ა. ა.-ის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის პროპორციულ და სამართლიან პასუხისმგებლობის ფორმას წარმოადგენს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებაა (კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა).

6.19. განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32.1, 34.2(ა), 36 მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33.11, 35, 38 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N015/17 დადგინდეს ადვოკატ ა. ა.-ის /სიითი N/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

2. ადვოკატ ა. ა.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

4. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.

5. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება

6. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას თან ერთვის კოლეგიის თავმჯდომარის ინგა სეხნიაშვილის განსხვავებული მოსაზრება

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი /

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ფურელიანი/

IV დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარის

ინგა სეხნიაშვილის

განსხვავებული აზრი

ამავე კოლეგიის მიერ დისციპლინურ საქმეზე №015/17

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

გამოვხატავ პატივისცემას ჩემი კოლეგებისადმი, თუმცა არ ვეთანხმები ადვოკატ ა. ა.-ის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრებას. შესაბამისად, ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, გამოვთქვამ განსხვავებულ აზრს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისის გადაწყვეტილებაზე, საქმეზე №015/19.

მიმაჩნია, რომ საჩივრის ავტორის მიერ გამოთქმული პრეტენზია ადვოკატ ა. ა.-ის მხრიდან საქმის მასალების ასლების გადაცემის თაობაზე არ შეიძლება განვიხილოთ დისციპლინურ გადაცდომად, ვინაიდან, ადვოკატის მიერ საკუთარი ხარჯებით კლიენტის საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტის ასლების გადაღება იმ მიზნით, რომ მას ჰქონდეს აღნიშნული საადვოკატო მომსახურების განხორციელების პროცესში, წარმოადგენს მის უფლებას და ის ინახება მასთან არა იმ მიზნით, რომ დოკუმენტაციის შენახვის ვალდებულება აქვს. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაზე ვერ გავრცელდება კლიენტისათვის საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულება.

შესაბამისად, ადვოკატ ა. ა.-ის მიერ ზემოაღნიშნული მოქმედება არ შეიძლება განვიხილოთ ეთიკური ვალდებულების დარღვევად. შესაბამისად, არ ვეთანხმები ამ საფუძვლით ადვოკატის მიმართ გამოყენებულ იქნას დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება.

ინგა სეხნიაშვილი

ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარე